



# საკრებულო

ბანდოცხის 41-ე ყბლი, ფასი 20 კაპ.



ია-ვარდით შემოვიდა ჩვენი ქვეყნის გაზაფხული;  
დღეს სამშობლოს ზეიშია, ზეიშია არნახული.  
კომუნნიზმის მშენებელთა ნათელი დღის ხალისია;  
ჩვენი ქვეყნის დიდების და გამარჯვების მაისია.

გუვილოვა  
ესმოვიღო!

გაუგაჩოლ 1 ვაილს!

სლავა  
კლეს!

სულთა  
ქეოვა

ჯიჯი ქიპრისათვილს!

Мир  
Мир!

ენი, კოგუნიფიკის  
ბეგაჩვიბისაქან!

ენიგა სპპ-ს

სპპ  
პროგნაქა



# ამერიკული რესპუბლიკის ოქოები

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

ბორჯომის საკოლმეურნეო ბაზარში ტევა არ არის, უცხოელი და საბჭოთა დამსვენებლები ყიდულობენ ხილს, სუვენირებს. ბაზრის შესასვლელთან დგას პატარა ფარდული, არც იქ არის ტევა, ფარდულს გარედან დიდი ასობით აწერია: ხმის ჩამწერი კაბინეტი, შიგნით კი, კედლებზე, ნახევრადშიშველი უცხოელი მსახიობების ფოტოებია გაკრული, გამაძლიერებლის წყალობით ფარდულიდან ისეთი ყვირილი გამოდის, რომ ბორჯომის ცენტრამდე აღწევს. დოლისა და კლარნეტის აკომპანიმენტზე ვიღაც თავდავიწყებით მღერის:

ჩემი ცოლი კულორტზეა, წერილსა მწერს წამოლი  
ხელცარიელი არ მოხვდება, პადარკებით წამოლი,  
წვედი და ვინახულე, ბორჯომ, ჩემი წაღვერო,  
ვისაც ცოლი კულორტზე ყამს, კეტით არის საცემი.

მოწონებით იცინიან ფარდულში შეგვრებილნი და თან შარვლის ფართო ტოტებით იატაკს ასუფთავებენ. სიმღერა გრძელდება და მაგნიტოფონიდან რენტგენის ფირზე, რომელიც ამჯერად ფირფიტადაა გამოყენებული, იბეჭდება ღრმაზარფიანი სიტყვები:

ღამდამობით ნაძვის ხეში თურმე, იცით, რა ხდება,  
იჭაურობა გადაუხნავთ ნაძვის ხეშიც გახდება,  
ჩემი ცოლიც აყოლია, ყველას გულზე ახტება,  
გასუქების მაგივრად შამფურით გახდება,

ვენაცვალე მე ჩემ ცოლზე, ღღედაღამე ჩემთვის წვალობს,  
ცხრა თვე არი, რაც ჩემ თავზე პარკიმახერობას სწავლობს,  
ინსტიტუტში რომ ვსწავლობდი, დამთავრება არ მაცალა,  
რაც რომ თავზე ბეწვი მქონდა, სათითაოდ გამაცალა.

— რა ქვია მაგ სიმღერას? — კითხულობს ერთი აღფრთოვანებული მსმენელი.

— „ჩემი ცოლი კულორტზეა“, — პასუხობენ უკვე გათვითცნობიერებული მსმენელები.

— ერთი ჩამიწერე, თუ კაცი ხარ. — იწერება ფირფიტა და შემკვეთი გაოცებული უყურებს ტექნიკის ამ საკვირველებს.

— კიდევ რა გაქვთ?  
— სიაში ნახეთ.

მომხმარებელი ხმამაღლა კითხულობს სიას: „ქეფი და დროს ტარება“, „ჯან, თამადა“, „მექსიკური სიმღერა ქართულად“, „მოკლე კატო“, „ყროყინანთ ქალი“, „მეგრელების ფეხბურთი“, „რომელმაც, რომ კაცმა, კაცი“, „კლუჩი“, „მოკეტე“, „მამალი“, „ია ბა-ლნოი, ტი ბალნოი“, „ოპო, ერთი ეს ჩამიწერე ვინ მღერის?“

— ჯულიეტა, თანაც სამ ენაზე — სომხურად, ქართულად და რუსულად. — ამაყად ამბობს ხმის ჩამწერი და გამყიდველი.

— აბა, პა! — ჩქარობს ფართოშარვალტოტიანი. იწყება ჩაწერა:

ია ბალნოი, ტი ბალნოი, პრიხადი კამნე დამოი,  
აი დუშკაჯან, აშიბაეუსია,  
ესლი ეტა ნე პამოჟიტ, დოკტორ სნამი, მესტე ლიჟიტ  
ვაი, ვაი, შენი ჭირიმე.  
შენ გგონია ცოლს გაუშობ და შენ გამოგვიკიდებო,  
აი დუშკაჯან, აშიბაეუსია,  
ერთი შენი კოცნა მინდა და იმისთვის გეფერები,  
ჯან, ჯან, შენ ვენაცვალე.

შემდეგ ქართული ვარიანტის სომხური თარგმანი, სადაც იმდენივე სომხურია, რამდენიც რუსული და ქართული. ვაჭრობა ჩაღდება და გამყიდველი ტრიალებს, ტრიალებს მაგნიტოფონი:

„საწყობის გამგე გოგამ, შეასრულებს რიჟა ვალოდია და ნოდარი, საწყობის გამგე გოგამ, ესე იგი, სპეკულიანტს სულ არა მისცა რა, თავის სახლში მიიტანა ასი კილო დაპრესილი კარაქი“, ამ ამომწურავი განმარტების შემდეგ, რომელსაც ალბათ, რიჟა ვალოდიას მეტი ვერაფერს გაიგებს, გაისმის შემაზარზენი სიმღერისმაგვარი რამ:

საწყობის გამგე გოგამ არ დაუსვა კარაქს დანა,  
ასი კილო დაპრესილი თავის სახლში მიიტანა,  
როცა ვკითხე, რასა შვრები, არ გრცხვენია, გოგამო,  
რალა სპეკულიანტს მივცე, მე გავყიდი, ჯობიანო.

ამ კუპლეტების შემდეგ არაფერია ნათქვამი გოგიას მოღვაწეობაზე, შემდეგ თანდათან ჩნდებიან ახალი უარყოფითი პერსონაჟები, ფერმის გამგე, ნუსტას ბიჭი ყაზარია და წერტის გამგე ოლიფანტე. რიჟა ვალოდია თავგამოდებით ამხელს მათ.


— ბაიათი ხომ არ გექნებათ? — კითხულობს ჩექმებიანი მოქალაქე.

— როგორ არა, „არა, არა, კარგოჯან“, ტრიალებს მანკიანი თუ წყლულიანი ფირფიტა და სიმღერის ეშხით დნება მყიდველიცა და გამყიდველიც. ისმის უკვდავი ლექსის სტრიქონები:

არა, არა, კარგოჯან, მე შენ ვერ ვაწვენიებ,  
გულის ვარდი მეწლება, ოდეს შენ გამიცინებ,  
მსურს, რომ მინდა გომღერო, ჩემი გულის ყვავილო,  
რაც გინდა, რომ მიხრძანო. მზათ ვარ, სულ შეგისრულო,  
ჩემი აზრი მე ვიცი მხოლოდ, შენ სხვასა-ა აგებინებ,  
სიყვარულის აღერსით ერთხელ მეც გამაზარე.

შემსრულებლის ვინაობა ისევე საიდუმლოებითაა მოცული, როგორც მუსიკის და ტექსტის ავტორისა, მხოლოდ ერთი რამ არის ცნობილი — ხმის ჩამწერი კაბინეტი ეკუთვნის ბორჯომის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს, ან, უფრო სწორად, ვინმე ოთარ ხუციშვილს, რომელსაც, ვინც მოეპოვებება, იმას აყენებს დახლში და, ვისაც ისურვებს, ამღერებს და აკვენსებს. კიდევ ერთი რამ არის ცნობილი — კომბინატი არავითარ მოგებას არ ნახულობს ხმის ჩამწერი კაბინეტიდან, პირიქით, ზარალობს კიდევ. რა თქმა უნდა, ზარალობს მომხმარებელიც, რომელიც თითო ფირფიტაში ერთ მანეთს იხდის, ყოველგვარი ქვითრის გარეშე, ზარალობს მსმენელის გემოვნება. ვინ იგებს? ეს, ალბათ, კარგად იცის ოთარ ხუციშვილმა და ოდესმე ბორჯომის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ხელმძღვანელებიც გაიგებენ.

ნან. ნ. მაღალაონიანი



— ცდა ბედის მონახევრა.



— რატომ გინდათ ინჟინერმა კაცმა ოფიციალად იმუშაოთ?!  
— ხამ ალიმენტს ვინდი, ბატონო, და...

# პირად, არ უარ?

ამას წინათ ჩვენი კურორტების დასათვალიერებლად გავემგზავრე.

ვიფიქრე: გაზაფხული მოვიდა და ზაფხულის მოსვლასაც აღარაფერი აქლია. ღმერთმა ქნას, ჩვენს კურორტებზე ყველაფერი წესრიგში იყოს, მაგრამ... იქნებ ჩემ საკბილოს მაინც წავაწყდებოდა. „მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს — პირს უჯანაო“ — ამ მაძაპური დევიზით შეიარაღებულმა გადავიკიდე მხარზე ხურჯინი და გავუდექი გზას.

მოვინახულე შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული კურორტები, მთის დასასვენებელი ადგილებიც არ დამიტოვებია უყურადღებოდ. ჰოდა, უკვე შინ დაბრუნებას ვაპირებდი, რომ მომაგონდა — ბორჯომი მჩრებოდა მიუკითხავი და იქაც შევიარე.

მგზავრობით მოქანცულს, სული რომ მომეთქვა, პარკს მივუშურე. ვიჯერე გული საქვეყნოდ ცნობილი ბორჯომის წყლით, მერე ჩამოვჯექი ჩეროში მერხზე და მთებისა და ტყის სილამაზით მოჯადოებულმა, განცხრომას მივეც თავი.

მოულოდნელად საზარელმა კვილიმა გამომათხიზლა ფიქრებში წასული. ვხედავ, შუა პარკში მობაჯბაჯებს ტიკივით გაბერილი „საქმე“, ცრემლები ღვართაფად ჩამოსდის სახეზე და გაბოროტებული მუშტს მკერდში იცემს.

— რა მოგივიდა, შე კაი კაცო?... რამ გაგაბოროტა ასე?... — თანაგრძნობით შევეგებე.

— შენ ხარ, ნიანგო!.. შენი სახელის ჭირიმე, ძმობას ვაფიცებ, მიშველე, თორემ თავს მოვიკლავ... წყალში გადავვარდები... საკუთარი კბილით დავიჭამ სხეულს.

— კაი ახლა, დამშვიდდი...

— ვერ ხედავ რას დამამსგავსეს...

ბოლმამ ლამის არის ხაგლეჯ-ნაგლეჯად მაქციოს, დაყვითლდა, დაიფლითა დროთა განმავლობაში საქმეში ჩაქვრებული ქალღლები, ჩემი საშველი კი მაინც არ არის. საქმეს წერტილი ხომ უნდა დაეგვას?..

— არ არსებობს საქმე, რომელსაც, დასაწყისი თუ აქვს, დასასრული არ ჰქონდეს. შენც დავისვამენ წერტილს.

— როდისღა, ჩემო ნიანგო!.. ერთი პატარა ფანჯრის ამოქოლვის საქმეს განა დასაშვებია, ჰა და ჰა, აგერ ოთხი წელია რომ აჯანჯლებენ?!

— ო, ეტყობა ვიღაცას ეცოტავა მართო სამკურნალო წყლების გამო საქვეყნოდ ცნობილი კურორტის სახელი და ახლა სხვა მხრივაც უნდა მოუხვეჭოს ჩვენს საყვარელ ბორჯომს დიდება...

— ალბათ ასეა, თორემ რა ძალა ადგია ბორჯომის რაიონის პროკურორს ამხ. ხურცილავას, მოქალაქე ლომიძის მიერ 1960 წლის 20 მაისს აღძრული საქმე, მოქალაქე ქიტიაშვილის უმართებულო მოქმედების შესახებ, რომ აქამდე „ლიალ“ აქვს მიტოვებული.

ჩემს ხურჯინს არ აკლდა ცხელ-ცხელი ამბები, მაგრამ გულდათუთქული „საქმის“ ნამბობმა ძალზე დამაინტერესა და ცნობისმოყვარეობით ვკითხე:

— მაინც რა ჩაიდინა მოქალაქე ქიტიაშვილმა?

— ქიტიაშვილმა ნებართვის გარეშე გააფართოვა საცხოვრებელი ფართი, რითაც ზიანი მიაყენა მეზობელს — მოქალაქე ლომიძეს.

— მერე, ხუჭავს თვალებს სიმართლეს რაიონის პროკურორი ამხ. ხურცილავა?

— ვაი, რომ ხუჭავს... მიუხედავად იმისა, რომ 1960 წლის 6 აგვისტოს ბორჯომის რაიონის სახალხო სასამარ-

თლომ მიიღო გადაწყვეტილება ამოქოლათ ქიტიაშვილის ფანჯარა, რაც ძალაში დატოვა საქ. სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1960 წ. 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით „გადაწყვეტილება მნიშვნელობით“ გადაწყვეტილება მნიშვნელოვანად 2 წლის შემდეგ 1962 წლის 13 ივლისს იქნა მოყვანილი სისრულეში, ისიც იძულებითი წესით.

მეგონა ამოვისუნთქე, ძმო ნიანგო, რაქი ამოქოლეს ფანჯარა. თურმე რა გინარია!.. ამხ. ხურცილავამ რატომღაც არასწორად ჩათვალა უმაღლეს სასამართლოს გადაწყვეტილება (კაცმა არ იცის, მაინც რატომ!) და 1963 წლის 6 აპრილს წარდგინებით საქმე გაგზავნა საქ. სსრ პროკურატურაში, რათა საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმს გაეუქმებია ფანჯრის ამოქოლვა.

— რას ამბობ, კაცო, პროკურორი ამას როგორ იკადრებდა. როგორ, ერთი წლის წინათ დასრულებული საქმე, ისევე აღძრა თავიდან?!

— იკადრა, შენი ჭირიმე, ნიანგო, იკადრა... შენ წარმოიდგინე, 1963 წლის 24 აპრილს საქ. სსრ პროკურორის მიერ ამხ. ხურცილავას მიეთითა, რომ მისი წარდგინება უსწორო იყო. ეს, რა თქმა უნდა. იცოდა ქიტიაშვილმა, მაგრამ თავზეხელაღებული ყაჩაღივით 1963 წ. 28 ოქტომბერს თვითნებურად მაინც გახსნა ამოქოლილი ფანჯარა.

— აუ, ეს რა მითხარია!.. — შევწუხდი გულწრფელად, — მაგრამ, რა თქმა უნდა, მოქალაქე ქიტიაშვილი თვითნებობისათვის პასუხისმგებელი იქნა მიცემული, ხომ?

— ჰმ!.. მეტი არაა ჩემი და შენი მტერი... — გულსაკლავად ამოიკვნესა „საქმე“, — ქიტიაშვილს თავი ყარამანად მოაქვს და დღესაც არჩენილ დასეირნობს ბორჯომის ლამაზ ქუჩებში.

— არ გადაამრიო, თუ ძმა ხარ!.. ნუ-თუ ახლაც მოიყრუა თავი ამხ. ხურცილავამ?

— რაიონის პროკურორმა მოქალაქე ლომიძის განცხადება ქიტიაშვილის თვითნებობის შესახებ რომ წაიკითხა, მხრები აიჩეჩა, ხელები გაასავსავა და... რაიმილიციას გადაუღვანა საჩივარი.

— მერე, რაო მილიციამ? — მღელვარებისგან ლამის დამაწყდა კისრის ძარღვები.

— მილიციამ დოინჯი შემოიყარა, თვალები დაუბრიალა ლომიძეს და საქმეში ავტორიტეტულად ჩასწერა: საქ. სსრ მართლმსაჯულების გადაწყვეტილება არ გახლავთ სწორი... აბა!.. ხოლო ამხ. ხურცილავამ მოიმარჯვა კალამ-კალმისტარი, გააშანშალა ახალი საქმე და აფრინა რესპუბლიკის პროკურატურაში ფანჯრის ამოქოლვის გადაწყვეტილების გაუქმებისათვის.

— საოცარი ამბავი შემატყობინე... მაგრამ რით დაიმსახურა ქიტიაშვილმა ესოდენ პატივი, რომ მისი გულისათვის რაიონის პროკურორი ცეცხლში ღებდა, ეს ვერ გამიგია.

— საკითხავი ეს არის სწორედ!

— მერე, არ იცის ამხ. ხურცილავამ, რომ ცეცხლთან თავში საშიშია?!

— ეტყობა, არ იცის, ჩემო ნიანგო!.. — ვითომ, არ იცის?!





— გამყიდველი ნანობაშვილი სად არის?  
— დანაშაული ჩაიდინა და სარდაფში ჩააგდეს საწყობის გამგედ!

# ქოხლებსა და ააშირზე

უღრან ტყეში მხეცებმა მოიწყვიეს თათბირი. თათბირს არ დაჰკლებია ტყის არც ერთი ნადირი. თარგმანებზე ამჭერად მგელმა ილაპარაკა. ხშირად იშველიებდა საუბარში ქარაგმას.

ყველა გააკრიტიკა, არ დაზოგა არავინ. ბრდღღინავდა და ღმუღოდა: რა გვაქვს დასამალავი; დაბალია ეს ოდენ თარგმანების ხარისხი, წახაკითხი ცოტა გვაქვს ინტერესით, ხალხით.

დამნაშავის მოძებნა არცთუ ისე ძნელია:

ლომის თარგმნა ვიანდეს ტურასა და მედიას. თარგმნა ასე ადვილი საქმე ნუ გეგონებათ. ლომთა შეშოქმედება უნდა თარგმნონ ლომებმა.

ვეფხვმა ვეფხვი, მგელმა მგელი და ღაფებმა ღაფები, თარგმანებით მხოლოდ ვაშინ გავიხარებთ, დავტკებთ.

ყოფთ, თვალები ზოგერთს ხამტროდ ნუ აგემდვრებათ! ყველამ ისე მოიღეთ, ვისაც როგორ გეხებათ;

უცბე ატყდა ნადირთა ხორხოცი და გნიახი და ტრიბუნა დატოვა მგელმა ტაშის გრიაღში.

ბ. მარდანიძე



# სიყვანძულო

ერთი ჩემი ნაცნობი ხშირად მირეკავს ტელეფონით. კვირა ისე არ გავა, რომ სუთჯერ მაინც არ შევხვდეთ, კარგია და სახარბიელო მეგობრობის ყადრი, მაგრამ ცალკე მეგობრობა დასწყველოს ღმერთმა. მე მას ხეირიანადაც კი არ ვიცნობ თბილისის რომელიღაც საავადმყოფოში მუშაობს თუ წვეს, არ ვიცი. სახელდობრ რომელში, ვერც იმას ვეტყვით, რადგან პასუხიც კი არ მაღირსა. ხეირიანად არც მისი სახელი მახსოვს, მგონი სამება ჰქვია, სამება ჩემთვის ნამდვილ წამებად გადაიქცა, წამება წამებას გააჩნია. წამება შეიძლება წამობით აიტანო, მაგრამ როცა საათობით გრძელდება, მაშინ სჯობს ისევ თბილისის სატელეფონო სადგურს მიმართო განცხადებით. „გთხოვთ მომიხსნათ ტელეფონი“, მსგავსი რამ ჩვენს ქალაქში ჯერ არავის ჩაუდენია და არც მე ვარ შეშლილი, რომ ნამდვილი წამებითა და ჯახბრით დადგმული ტელეფონი ხელდახელ გაგასარქრო.

სამსახურიდან დაგბრუნდები თუ არა, სამება მირეკავს და თან დამეჯივებით მთხოვს გულდასმით მოვუსმინო წუხელ გადახდილი ამბავი, რომელიც ხან სიზმარს ემსგავსება, ხან ათას ერთი ღამის ზღაპრის თავისებურ თარგმანს. მისი არც ერთი სიტყვა არ მრჩება თავში, უცბად მაიწყვდება, როგორც შინიდან გასვლის წინ ცოლის დარიგება: „არ დაიგვიანო, არ დალიო“.

სამებამ იმ დღესაც დამირეკა და კვლავ გაიმეორა თავისი ახირებული თხოვნა — გულდასმით მომესმინა წუხანდელი ამბავი. ყურმილის აღებისთანავე ჩემმა ცოლ-შვილმა სახის გამომეტყველებაზე შემატყო, ვინც მირეკავდა. ჯერ უსადილო ვიყავი და ცოლმა სწორედ ამიტომ სასტუმრო ოთახში გამომიტანა კერძი. ჩემი ოჯახის წევრებმა კარგად იციან როგორი ხასიათი აქვს სამებას — ტელეფონის მიღში თუ ჩაერთო, საათობით ვერ გამოითიშავ ვერც რეპლიკით, ვერც მთქნარებით, ვერც სხვა დამხმარე საშუალებით.

რადგან ჯერ უეკრანო ტელეფონებია ჩვენს ქალაქში, ამითი კარგად ვსარგებლობ ხოლმე შორეულ ნაცნობთან საუბრისას: კერძს ვემრიელად შევუქცევი თან „ხოს“ და „არას“ ძახილით ვეხმინანები, თითქოს და გულისყურით ვუსმენდე მის უსაშველოდ გრძელ მონოლოგს. სადილს ვამთავრებ, მაგრამ ტელეფონის ყურმილიდან ისევ გაისმის სამებას დაუსრულებელი თხრობა. ახლა გაზეთების კითხვას ვიწყებ. ცალი ხელით გაზეთის გადაფურცვლა მიძნელდება. ერთ ხანს რუსულად ვპასუხობ: „და, და, და, სლუშაიუ... და, და, და, და“. და ხომ გარდაგეცვალაო, ცივად მომიჭრა სამებამ.

ახლა ხო, ხო, ხოს-ს ძახილით ვპასუხობ. ყურმილს მაგიდაზე ვდებ. რა თქმა უნდა, ორთავ ხელით უფრო მოხერხებულად ვშლი გაზეთებს, ვკითხულობ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე გვერდს. ტელეფონის მილიდან ისევ გაისმის სამებას გამყიდვანი ხმა. მხოლოდ ხმა... სიტყვები არ მესმის, რადგან ყურმილი ყურზე არ მაქვს მიდებული და, გარდა ამისა, ახლა რომანის კითხვით ვარ გაართული. ხანდისხან უნებურად ჩავახველებ ხოლმე. იგი უფრო დიდი აზარტით განაგრძობს ამბავს, ალბათ, თანხმობის ნიშანი ჰკონია ჩახველება. ჩემი ბავშვები საათს შესცქერიან, ითვლიან კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ბიძია სამებას საუბარი მის ერთადერთ მსმენელთან — სასადილო მაგიდასთან.

— „დღეს თავდაცვის საუკეთესო საშუალებას გამოვინახავ“ ვფიქრობ და ვეძებ გამოსავალს. ისევ გაისმის ტელეფონის ხარის წკრიალი.


— სამება ბრძანდებით? ვისმენთ, გაგიმარჯოთ! — ვპასუხობ და ბოლოს ჩემი უმცროსი ბიჭი იღებს ყურმილს. იგი დიდხანს, დიდხანს უსმენს სამებას, ექვსი წლის ბავშვი თანამოსაუბრეს ვერას უგებს და ყურმილს ახლა მისი უფროსი დაიკო უსმენს, ვერც ჩემი კეთილი გოგონა უძლებს ბიძია სამებას მონოლოგს. და ახლა უფროსი ბიჭი იტაცებს ყურმილს ესტაფეტასავით. სრულ ორ საათს ლაპარაკობს ჩემი ნაცნობი. ტელეფონის ყურმილს ძაძაძის შენელებაზე ვატყობ, რომ მონოლოგი მთავრდება, ესტაფეტა ფინიშთან მე მიმაქვს და „ახვამამის“ წარმოვთქვი თუ არა, გამახსენდა სამებასათვის გვარი მეკითხა. აღტაცებულმა მოსაუბრემ დიდი მონდომებით დაიწყო საკუთარი გვარის წარმოშობის ისტორია რომელიც კიდევ ორ საათს გაგრძელდა. სამებამ ძლიერ ღრმად ჩაიხედა თავისი წინაპრების წარსულში:

— ჩემი ბაბუის მამის მამა და შენი ბაბუის მამის მეუღლე და-ძმანი ყოფილან. — როგორც იყო დაასკვნა სამებამ. ყურმილი დავედე. საუბარი დამთავრდა, მაგრამ დამთავრდა?

ახლა ვწევარ და მთელი ღამე იმას ვფიქრობ, „თუ მართლა ნათესავები ვართ, რომელი ქაჯი გაუძლებს ჩემს გამწამებელ სამებას“.

— ამაღამდელი ღამეო, ნუ გათენდება მალეო. — ამოვიოხრე. ხვალ გამოვარკვევ, რომელ საავადმყოფოში მუშაობს, თუ წვეს ჩემი მტანჯველი.

ბასკანჩილი



— როგორ მოგწონს ჩემი კაბა? დღეს თეატრში ყველას თვალებს დავუყვებ

„ქარიშხალს“ სტადიონზე შესასვლელად თუ ვინმემ მე-15 სექტორის 28-ე რიგის ბილეთი შემოგაძლიოს არამც და არამც არ გამოართვა; ბილეთის მომტანს ზრდილობიანი უარი მოახსენე და ისევ ცისფერ ეკრანს მიუშვირე შენი ცისფერი თვალები. რატომ? სტადიონზე ჩატარებული „გენერალური“ რემონტის დროს, რატომღაც უფიქრიათ, ოცდასამი თარხი რიცხვით და ხუთ ამოუღიან ხმარებიდან. ასე რომ, მე-15 სექტორზე 22-ე რიგს უშუალოდ მოსდევს 24-ე და, რაკი სტადიონის ადმინისტრაციას საწინააღმდეგო არაფერი აქვს ამ რიგის თეორიულად არსებობისა, ყიდის და ყიდის ბილეთებს პრაქტიკულად არარსებულ რიგზე დასაჯდომად. თვალსაჩინო ავტორიტეტის მოწვევებულ მასურებელს კი არაერთგზის აფრთხილებს წარწერით: „დაიკავით თქვენი ადგილი“. თავიანთი ადგილის ამაოდ ძებნისგან დაღლილი მასურებლები ბედურბევით ჩამომხსნარან მე-15 სექტორის უკანა კედელზე და მილიციების სასტვენის ხმაზე არცთუ ხმაუფუბილ საგალობელს მღერაინ სტადიონის მესვეურთა მისამართით. ბილეთიანებს კიდევ ეშველებათ, მეორეჯერ არ მოიხვედრებენ თავს 28-ე რიგზე, მაგრამ, ვისაც აბონემენტი აქვს, იმან რაღა ქნას, რა „ქარიშხალში“ გადავარდეს, ძეგო ნიანგო?

რ. ბილეთიანი

# გნთიანა ქალო, ვაე ქალო!

მას შემდეგ, რაც ღმერთმა ადამის მოღმეას, ევას მიზეზით, სამოთხის ორდერი დაუხია, მამაკაცსა და დედაკაცს შორის ანტაგონისტური დამოკიდებულება დამკვიდრდა. ისტორიამ შემოგვიანახა მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების უამრავი ფაქტი. გაბოროტებულმა ვარქსენმა შვიდი წლის განმავლობაში აწამა შუშანიკი და ჯავრი მანც ვერ ამოიყარა. ოტელომ რომ დეზდემონას დახრჩობის მუხლი მიუყენა, ცხვირსახოცი აქ მხოლოდ უბრალო მიზეზი იყო.

იყო დრო, როდესაც მამაკაციც და დედაკაციც შიშვლები დადიოდნენ. აიფარა კაცმა ფოთოლი, — აიფარა ქალმაც. დაიფარა კაცმა ტყავი, — დაიფარა ქალმაც. ჩაიცვა ტანზე კაცმა, — ჩაიცვა ქალმაც. გგონიათ, ამით დამთავრდა ყველაფერი? ქალმა შეატყო, რომ ამით კაცს ვერაფერს დააკლებს, წონასწორობიდან ვერ გამოიყვანს, და დაიწყო ხელახლა გახდა. ამჟამად ქალი ძალიან დაუახლოვდა ევასდროინდელ ჩაცმულობას. ამ საკითხში საწყალი მამაკაცი ჯერჯერობით თავს იკავებს, მაგრამ როდემდის?

იყო დრო, როდესაც მამაკაცი ქალივით გრძელ თმებს ატარებდა. შეიჭრა თმა კაცმა, — შეიჭრა ქალმაც. კიდევ შეიჭრა კაცმა, — კიდევ შეიჭრა ქალმაც. ახლა იმ ზომამდე მივიდნენ, უკნიდან ვერც გაარჩევ (თუ მხოლოდ თავზე შეხედავ), რომელია კაცი და რომელი ქალი.

ქალის საქციელით თავმოძულეებულმა მამაკაცმა პაპიროსის წვევა დაიწყო. ახლა დაწესებულებებში, სუფრაზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე ყოველი კუბიკური მეტრი პაერის ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ორმოცდაათი პროცენტი პომადიანი ბაგეებიდან გამოდენილ კვამლს უკავია. გაბოროტებულმა კაცმა დაიწყო სმა. ქალმა ამაშიც მიბაძა. მეტიც, შეტევაზე გადავიდა და ახლა თავის სუსტ მაჯაზე ლამის მარჯობდა საათი გაიკეთოს.

რაც კაცმა ტანთ ჩაიცვა, მისმ განმასხვავებელი ნიშანი იყო შარვალი. ქალმა ეს შარვალიც წავართვა.

რაღა დაგვრჩა ჩვენ, მამაკაცებს?

ყველა დროში აზრისა და ბრძოლის განვითარებაში ტონის მიმცემი ახალგაზრდობა იყო. ჩვენც ახალგაზრდობა გვიხსნის, თუ გვიხსნის. ბოლო ხანებში შეინიშნება ჩვენი ქაბუკების კონტრშეტევაზე გადასვლის შემთხვევები: ზოგმა ქალივით ნეილონის პერანგი ჩაიცვა, ზოგმა — თავზე ბერეტიც დაიხურა... ეგრე, მოლით, ბიჭებო, ჩვენც, ყველა, მხარში ამოვიდგებით, თორემ, ცხოვრება ელვის სისწრაფით ვითარდება და ვატყობ. დადგება დრო, რომ დეზდემონა ოტელოს დაახრჩობს!

რ. მამულაშვილი


## გნის დაუკავები



ნახ. თ. ჯგარშითვილი



უბექსტო ხუმრობა.



უბექსტო ხუმრობა.

ბ. 64

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე.

საქ. კბ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუხთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილებების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 15/IV-1964 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცვ გამომცემლობის სტამბა № 1 ლენინის 14. შეკვ. № 977. უგ 04252. ტირაჟი 40.000

ნახ. ბ. ლომიძისა

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წრეებმა სახავენი გაგ-  
მებს, რომ სამხედრო მოქმედება სამხრეთ ვიეტნამიდან გადაიტა-  
ნონ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

(გაზეთებიდან)



დავით თაშვაზი.